

ხელშეკრულება

საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ

საქართველომ და ყაზახეთის რესპუბლიკამ, შემდგომში ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად წოდებულებმა, სუვერენიტეტის პატივისცემისა და ურთიერთთანხმობის საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში თანამშრომლობის განხორციელების მიზნით გადაწყვიტეს აღმოუჩინონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება სამოქალაქო და სისიხლის სამართლის საქმეებში და ამ მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

სამართლებრივი დაცვა

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეები. მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, იუსტიციის ორგანოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო და სისხლის საქმეები და შეუძლიათ აღძრან შეამდგომლობები და განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებები იმავე პირობებით, როგორც მეორე ქვეყნის მოქალაქეებმა.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე იურიდიული პირების და მათთან გათანაბრებულ წარმონაქმნების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულია ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის ტერიტორიაზე მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ტერმინი “სამოქალაქო საქმეები”, რომელიც გამოიყენება მოცემულ ხელშეკრულებაში, მოიცავს საოჯახო, შრომით, სამემკვიდრო, სამეურნო საქმეებს.

მუხლი 2

სამართლებრივი დახმარება

ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილე მხარეების დაწესებულებები და ორგანოები უწევენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმა-

რეგბას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე თავიანთი კომპეტუნციის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება მათი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 3

სამართლებრივი დაწმარების მოცულობა

ზელშეკრულების მონაწილე მხარეები თავიანთი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, აღმოუჩენენ ურთიერთს სამართლებრივ დაწმარებას:

- პროცესუალურ მოქმედებათა შესრულების;
- დოკუმენტების გადაგზავნისა და გადაცემის;
- ნივთიერ მტკიცებულებათა გადაცემის;
- საქმის მასალების გადაგზავნის;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების;
- სარჩელის უზრუნველყოფის;
- ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარისათვის ნასამართლობის შესახებ მონაცემების წარდგენის;
- პირთა დაძებნის;
- ოპერატორულ-სამძებრო მოქმედებათა შესრულების;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად ან განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემის გზით.

მუხლი 4

ურთიერთობის წესი სამართლებრივი დაწმარების აღმოჩენისას

1. სამოქალაქო და სიხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დაწმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნით მიმართვისას ზელშეკრულების მონაწილე მხარეების სასამართლოები და სხვა კომპეტუნტური ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან თავიანთი ცენტრალური დაწესებულებების მეშვეობით, თუ ამ ზელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ცენტრალურ დაწესებულებებს მიეკუთვნებიან:
საქართველოს მხრიდან - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა.

ყაზახეთის რესპუბლიკის მხრიდან - ყაზახეთის იუსტიციის სამინისტრო და ყაზახეთის გენერალური პროკურატურა.

მუხლი 5

ენა

1. ზელშეკრულების მონაწილე მხარეების დაწესებულებები წინამდებარე ზელშეკრულებაში გათვალისწინებულ ყველა საკითხზე ურთიერთობებისას სარგებლობენ ზელშეკრულების მონაწილე მხარეთა სახელმწიფო ენებით.

2. სამუშაო ენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსული ენა.

მუხლი 6

დოკუმენტების გაფორმება

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ სამართლებრივი დახმარების გასაწევად გასაგზავნი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია მხარეთა სახელმწიფო ენაზე, უნდა იყოს თარგმნილი რუსულ ენაზე, ხელმოწერილი კომპეტენტური პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

2. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შეუძლიათ შეადგინონ ფორმულარების ნიმუშები, რომლებიც გამოყენებულ იქნება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის მიმართვისას.

მუხლი 7

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნის (დავალების) ფორმა

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნა (დავალება) შედგენილი უნდა იყოს წერილობით და დაგალების შინაარსის გათვალისწინებით შეიცვლეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შემკითხველი დაწესებულების დასახელება;

ბ) შემსრულებელი დაწესებულების დასახელება;

გ) საქმის დასახელება, რომელზედაც გაგზავნილია თხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ და თხოვნის (დავალების) შინაარსი;

დ) საქმესთან დაკავშირებული პირების სახელები, გვარები, მათი მოქალაქეობა, სქესი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, დაბადების წელი და ადგილი; იურიდიული პირის დასახელება და ადგილმდებარეობა;

ე) ამ მუხლის დ) პუნქტში აღნიშნული პირების წარმომადგენელთა სახელები, გვარები და მისამართები;

ვ) გადასაცემი დოკუმენტის დასახელება;

ზ) გამოსარკვევ გარემოებათა შინაარსი, აგრეთვე საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებათა ჩამონათვალი; აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე, ჩადენილი დანაშაულის ფაქტიურ გარემოებათა აღწერა, მათი იურიდიული კვალიფიკაცია, შეძლებისდაგვარად, პირის გარეგნობის აღწერა, მისი ფოტოსურათი, თითების ანაბეჭდები.

მუხლი 8

დავალების შესრულება

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დავალების შესრულება არ შედის ამ მხარის სასამართლოების და სხვა კომპეტენტური დაწესებულების კომპეტენციაში, იგი უკან დააბრუნებს დავალებას უარის მოტივის მინიშნებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ დაწესებულება უფლებამოსილი არ არის შეასრულოს დავალება, იგი ვალდებულია გადაუგზავნოს აღნიშნული დავალება შესასრულებლად ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კომპეტენტურ დაწე-

სებულებას, აგრეთვე აცნობოს ამის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის დაწესებულებას.

3. თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის დაწესებულებას არ შეუძლია დავალების შესრულება დავალებაში მითითებული მისამართის უზუსტობის გამო, იგი ვალდებულია მიღონ შესაბამისი ზომები მისამართის დასაზუსტებლად ან მოითხოვოს ხელშეკრულების მონაწილე მხარის შემკითხველი დაწესებულებისაგან დამატებითი ცნობების წარმოდგენა.

4. თუ მისამართის დაზუსტება ან დავალების შესრულება შეუძლებელია სხვა მიზეზების გამო, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი დაწესებულება ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულებას და აუხსნას მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან დავალების შესრულებას, აგრეთვე დააბრუნოს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულების მიერ გაგზავნილი ყველა დოკუმენტი.

მუხლი 9

შეტყობინება დავალების შესრულების შედეგების შესახებ

1. შემსრულებელი დაწესებულება ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 4-ე მუხლში გათვალისწინებული წესით, წერილობით აცნობოს შემკითხველ დაწესებულებას დავალების შესრულების შედეგების შესახებ, აგრეთვე გაუგზავნოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, დავალების შესრულების დროისა და ადგილის მითითებით.

2. დოკუმენტების გადაცემის შესახებ დავალების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს დოკუმენტის მიღების თარიღი, მიმღების ხელმოწერა, და დავალების შემსრულებელი პირის ხელმოწერა. თუ მიმღები უარს ამბობს მიღებაზე, მითითებული უნდა იყოს ასევე მიღებაზე უარის თქმის მოტივები.

დავალების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს დავალების შემსრულებელი დაწესებულების ოფიციალური ბეჭდით.

მუხლი 10

დოკუმენტების გადაცემა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ან საკონსულო დაწესებულებათა მეშვეობით

კომპეტენტური ორგანოების დავალებით ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომელიც აკრედიტებულია ხელშეკრულების მონაწილე მეორე ქვეყანაში, შეუძლია გადასცეს სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტები თავიანთ მოქალაქეებს. თუმცა, ეს მოქმედებები არ შეიძლება შეიცავდნენ იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას.

მუხლი 11

დოკუმენტების გადაცემის დადასტურება

დოკუმენტების გადაცემის დადასტურება ხდება დამოწმებით, რომელსაც ზელს აწერს დოკუმენტის მიმღები პირი და მოწმდება შემსრულებული მხარის იმ დაწესებულების ოფიციალური ბეჭდით, რომელიც გადასცემს დოკუმენტს, ან ამ დაწესებულების მიერ გადაცემული სხვა დოკუმენტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გადაცემის დრო, ადგილი და საშუალება.

მუხლი 12

მოწმის, დაზარალებულის და ექსპერტის საზღვარგარეთ გამოძახება

თუ ზელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე წინასწარი გამომიების ან სამსჯავრო განხილვისას წარმოიშობა მეორე მხარის ტერიტორიაზე მყოფი მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის პირადად გამოცხადების აუცილებლობა, მაშინ ზელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის შესაბამის დაწესებულებას უნდა გაეგზავნოს დავალება უწყების ჩაბარების შესახებ.

მუხლი 13

მოწმის, დაზარალებულის და ექსპერტის გარანტიები

1. ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ დაწესებულებებში გამოძახების საფუძველზე გამოცხადებული მოწმე, დაზარალებული ან ექსპერტი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა არ შეიძლება შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე მიეცეს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, ან აღეკვეთის თავისუფლება ნებისმიერი ფორმით იმ სამართალდარღვევისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ამ სახელმწიფოს საზღვრის გადალახვამდე.

2. ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნის საფუძველზე მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის სახით გამოცხადებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან სხვა ფუნქციების შესრულებაზე, თუ უარის თქმის უფლება ან ვალდებულება გათვალისწინებულია ზელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი ან შემკითხველი მხარის კანონმდებლობით. ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულებებმა, აუცილებლობის შემთხვევაში, თხოვნას თან უნდა დაურთონ ცნობა კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ეხება ზემოხსენებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

3. მოწმე, დაზარალებული ან ექსპერტი აღარ სარგებლობს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარანტიებით, თუ იგი შეტყობინებიდან, რომ მისი დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენს, 15 დღის განმავლობაში არ დატოვებს ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო მას არ შეეძლო ზელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიის დროულად დატოვება.

4. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული გამოძახების გადაცემა ზღება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესით. გამოძახება არ უნდა შეიცავდეს იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მუქარას.

მუხლი 14

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ხარჯები

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს უწევენ უფასო სამართლებრივ დახმარებას.

2. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე გამოძახებული მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის გადაყვანის, კვების და საცხოვრებელ ხარჯებს გაიღებს შემკითხველი მხარე. გამოძახებაში მითითებული უნდა იყოს, თუ რა სახის ანაზღაურება შეუძლიათ მიიღონ აღნიშნულმა პირებმა. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კომპეტენტური დაწესებულებები აღნიშნულ პირთა თხოვნის საფუძველზე, ვალდებული არიან წინასწარ აუნაზღაურონ მათ შესაბამისი ხარჯები.

მუხლი 15

უარი სამართლებრივ დახმარებაზე

თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე თვლის, რომ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს მის სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან ეწინააღმდეგება მის ეროვნულ კანონმდებლობას, მას შეუძლია უარი თქვას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, ატყობინებს რა უარის მოტივებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს.

მუხლი 16

კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას

1. შემსრულებელი დაწესებულება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას გამოიყენებს თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობას.

შემკითხველი დაწესებულების თხოვნით, შემსრულებელმა დაწესებულებამ აღსრულების საშუალებასა და ფორმასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან შემსრულებელი მხარის კანონმდებლობას.

2. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია შემკითხველი დაწესებულების თხოვნით გამოიყენოს შემკითხველი მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ეროვნულ კანონმდებლობას.

მუხლი 17

იურიდიული ინფორმაციის მოცულობა

ზელშეკრულების მონაწილე მხარეები თხოვნის საფუძველზე ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას მოქმედი ან აღრე მოქმედი კანონმდებლობის და მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

თავი II

სამართლებრივი დახმარება სამოქალაქო საქმეებზე

მუხლი 18

სამართლებრივი დახმარების მოცულობა

ზელშეკრულების მონაწილე მხარეები თხოვნის საფუძველზე ჩააბარებენ სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტებს, ახორციელებენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, დაკითხავენ პროცესის მონაწილეებს, მოწმეებსა და ექსპერტებს, ატარებენ ექსპერტიზას, ადგილზე დათვალიერებას, ცნობენ და აღასრულებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, მათ შორის ახორციელებენ მევალეების დაძებნის ღონისძიებებს ალიმენტის გადახდევინებისათვის, აგრეთვე განახორციელებენ სხვა პროცესუალურ მოქმედებებს.

მუხლი 19

სასამართლოთა კომპეტენცია

1. სამოქალაქო საქმეებზე წარმოშობილი დავები, გარდა სამეცნიერო დავებისა, განიხილება ზელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოების მიერ, რომლის ტერიტორიაზეც, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, მას გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, ხოლო სარჩელები იურიდიულ პირთა მიმართ წარედგინება ზელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოებს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება იურიდიული პირის მართვის ორგანო, მისი წარმომადგენლობა ან ფილიალი.

2. ზელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუკი არსებობს მხარეთა წერილობითი თანხმობა ამ სასამართლოსათვის დავის გადაცემის თაობაზე, გარდა განსაკუთრებული კომპეტეციის შემთხვევებისა.

მუხლი 20

სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სასამართლო ხარჯებს ანაზღაურებენ იმავე პირობებითა და იგივე მოცულობით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეები.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები ვრცელდება, აგრეთვე იურიდიულ პირებზე, რომლებიც დაფუძნებულია ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21

სასამართლო ხარჯებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისაგან იმავე პირობებით და იგივე მოცულობით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეები.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები სასამართლო ხარჯებისაგან მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლებისათვის თხოვნით მიმართვისას, წარმოადგენენ საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით კომპეტენტური დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებს მათი პირადი, ქონებრივი თუ ოჯახური მდგომარეობის შესახებ. თუ განმცხადებელი ადგილს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ტერიტორიაზე არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილების ან ადგილსამყოფელი, მას შეუძლია წარადგინოს აღნიშნული დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია ან დამოწმებული მისი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ.

3. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია დოკუმენტის გამცემ თრგანოს მოსახლეობის დამატებითი განმარტებანი.

მუხლი 22

გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა, ნოტარიატის და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოთა გადაწყვეტილებები, რომლებიც თავიანთი ხასიათით არ ითხოვს აღსრულებას, იცნობიან, ხოლო ქონებრივი ხასიათის დავებზე იცნობიან და აღსრულდებიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე ამ ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობებით.

2. ტერმინი "სასამართლო გადაწყვეტილებები" ამ ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით ნიშნავს:

საქართველოში - გადაწყვეტილებები სამოქალაქო (მათ შორის სამეურნეო) საქმეებზე, მხარეთა მორიგებები სასამართლოში, განაჩენები დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში, დოკუმენტები მამობის დადგენის და საალიმენტო ვალდებულებათა შესახებ, დოკუმენტები, რომლებსაც გააჩნიათ სააღსრულებო წარწერა, გადაწყვეტილებები სასამართლო ხარჯების გადახდის შესახებ.

ყაზახეთის რესპუბლიკაში - სასამართლოს (მოსამართლის გადაწყვეტილება, განჩინება, დადგენილება, მხარეთა მორიგებები სამოქალაქო და სამეურნეო საქმეებზე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი ზიანის ანაზღაურების ნაწილში).

მუხლი 23

შუამდგომლობა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ

1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობა განმცხადებლის მიერ წარედგინება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და გადაეგზავნება ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში გათვალისწინებული წესით. განმცხადებელს შეუძლია აგრეთვე უშუალოდ მიმართოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოს.

2. შუამდგომლობას სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სასამართლოს მიერ დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; თუ ასლში არ არის ზუსტი მინიშნება იმაზე, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და შეიძლება აღსრულდეს, მაშინ მას უნდა დაერთოს ერთი ეგზემპლარი სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტისა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;

ბ) სასამართლოს დოკუმენტი, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე გადაწყვეტილების აღსრულებული ნაწილის შესახებ;

გ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მხარეს, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას პროცესში, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, ხოლო მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში - რომ მას ჰყავდა შესაბამისი წარმომადგენელი.

დ) ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის და თანდართული დოკუმენტების დამოწმებული თარგმანები.

მუხლი 24

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესი

1. სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოს მიერ, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, ხელშეკრულების ამ მონაწილე მხარის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სასამართლო, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, არ განიხილავს გადაწყვეტილებას არსებითად, არამედ განიხილავს მხოლოდ მის წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

3. სასამართლომ, რომელსაც წარედგინა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დამატებითი მასალების წარმოდგენა.

მუხლი 25

ცნობისა და აღსრულების იურიდიული ძალა

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოს მიერ მეორე მხარის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას გააჩნია ისეთივე ძალა, როგორიც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მუხლი 26

უარი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე

1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გარდა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, უარი შეიძლება ერთ-ერთ შემთხვევაში: 1.1. თუ ხელშეკრულების მონაწილე გადაწყვეტილების გამომტანი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ეს გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში და არ ექვემდებარება აღსრულებას.

1.2. თუ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, საქმე განეკუთვნება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას;

1.3. თუ მხარეს, რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, გადაწყვეტილების გამომტანი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ ანდა მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში არ მონაწილეობდა მისი შესაბამისი წარმომადგენელი;

1.4. თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ანდა იყი იმყოფება წარმოებაში, ანდა უკვე მოხდა ამავე საქმეზე მესამე სახელმწიფოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე უარი შეიძლება, თუ:

2.1. ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, სადაც უნდა მოხდეს აღსრულება, ასეთი საქმე არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

2.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ან არ შეესაბამება საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ პირობებს;

2.3. საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დათქმას, ან არ შეესაბამებოდა იმ სახელმწიფოს კანონს, სადაც აღილი ჰქონდა არბიტრაჟს;

2.4. მხარეებს სათანადო წესით არ ეცნობათ არბიტრის ან საარბიტრაჟო განხილვის დანიშვნის შესახებ.

თავი III

სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

მუხლი 27

სამართლებრივი დახმარების მოცულობა

სამართლებრივი დახმარება, ოომელსაც ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, აღმოჩენების ერთმანეთს ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მოიცავს:

- პირთა დაძებნას და იღენტიფიკაციას;
- სისხლის სამართლებრივი დევნის აღმერას;
- ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მოწმეთა, დაზარალებულთა, ექსპერტთა დაკითხვას;
- დათვალიერებას, ჩხრეკას და მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებულ სხვა პროცესუალურ მოქმედებებს;
- დანაშაულებრივი გზით შეძენილ ნივთიერ მტკიცებულებათა, დოკუმენტების და ფასეულობათა გადაცემა;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესუალური დოკუმენტების ჩაბარებას, აგრეთვე სასამართლო პროცესის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მუხლი 28

ურთიერთობის წესი სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული დაწესებულებების მეშვეობით, აგრეთვე საქართველოს შინაგან ლეგისტრის მიერ და კაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. საქმეთა სამინისტროსა და კაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

მუხლი 29

სისხლის სამართლებრივი დევნის აღმერის ვალდებულება

1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად აღძრავს სისხლის სამართლებრივ დევნას

ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი თავისი მოქალაქეების მიმართ.

2. დაზარალებულის მიერ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად მის კომპეტენტურ დაწესებულებაში, სათანადო ვადებში შეტანილი განცხადება სის ხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ ძალაშია, აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზეც.

მუხლი 30

**საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრა სისხლის სამართლის საქმეებზე სა-
მართლებრივი დაზმარების აღმოჩენის დროს**

პირის (პირების) მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ტერიტორიებზე რამოდენიმე დანაშაულის ჩადენის დროს წინასწარ გამოძიებას დაასრულებს გამოძიების ის ორგანო, სადაც ჩადენილია უფრო მძიმე ან უფრო მეტი დანაშაული.

პირის (პირების) მიერ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც ის არის, თუნდაც ერთი დანაშაულის ჩადენის დროს, თუ იგი დაკავებულია მის ტე-
რიტორიაზე, საქმეს დაასრულებს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კომპეტენტური დაწესე-
ბულება.

სხვა შემთხვევებში საგამოძიებო ქვემდებარეობა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწი-
ლე მხარეების გენერალური პროკურორების მიერ.

მუხლი 31

**შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე პატიმრობაში აყვანილი პირის გადაცემა
საქმეში მოწმის ან დაზარალებულის სახით მონაწილეობისათვის**

1. პირი, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე იმყოფება პატიმრობაში და რომელიც გამოძახებულია ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ დაწესებულებაში მოწმის ან დაზარალებულის სა-
ხით, შეიძლება დროებით გადაეცეს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) თუ გამოძახებული პირი თანახმა გადაცემაზე;

ბ) ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ დააბრუ-
ნოს პირი მას შემდეგ, რაც ამოიწურება მისი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის საფუძველი,
მაგრამ არა უგვიანეს შემსრულებელი მხარის მიერ განსაზღვრული ვადისა. საპატიო მიზეზების
არსებობისას ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელმა მხარემ შეიძლება გააგრძელოს აღნიშ-
ნული ვადა;

გ) გადაცემული პირი ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე
უნდა იმყოფებოდეს ისეთ პირობებში, რაც გამორიცხავს მის გაქცევას. 2. ხელშეკრულების მო-
ნაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე პირის პატიმრობაში ყოფნის ვადა არ გაგრძელ-
დება აღნიშნული გადაცემის გამო.

მუხლი 32

დოკუმენტების ჩაბარება და ცალკეული პროცესუალური მოქმედებების შესრულება

1. დოკუმენტების ჩაბარებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა შეკრებასთან დაკავშირებული ცალკეული პროცესუალური მოქმედებების შესრულების წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 6-10 მუხლებით.

2. ზემოაღნიშნული დავალებების გაგზავნისას მითითებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის გარემოებები, მისი კვალიფიკაცია და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების დებულებები.

მუხლი 33

დანაშაულებრივი გზით შეძენილი ფულისა და მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარემ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე უნდა გადასცეს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარეს ფული და სხვა მათხოვნის დანაშაულებრივი ფასეულობები, რომელიც შეძენილია დანაშაულებრივი გზით ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამასთან ასეთი გადაცემა არ უნდა ხელყოფდეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა და მესამე პირთა უფლებას ამ ფასეულობებზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული ფული და სხვა მატერიალური ფასეულობები აუცილებელია ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე სხვა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო განხილვისათვის, ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარეს შეუძლია დროებით შეაჩეროს მათი გადაცემა.

მუხლი 34

უარი სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელმა მხარემ, გარდა ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლში გათვალისწინებული საფუძვლებისა, შეიძლება უარი განაცხადოს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, თუ ქმედება, რომელიც მითითებულია დავალებაში, მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დანაშაულად არ ითვლება.

მუხლი 35

შეტყობინება სისხლის სამართლის საქმეებზე სამსჯავრო განხილვის აღმვრისა და შედეგების შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მიაწოდონ ერთმანეთს მონაცემები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღმოჩენისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი სასამართლოების მიერ ხელშეკრულების მის აღდერისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი სასამართლოების მიერ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეების მიმართ გამოტანილი განაჩენის შესახებ.

მუხლი 36

ინფორმაცია ადრე ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ
 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თხოვნის საფუძველზე და უფასოდ, ერთმანეთს აწ-
 ვდიან მონაცემებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოების მიერ ადრე მსჯავრდე-
 ბულ პირთა ნასამართლობის შესახებ, ორმლებიც აუცილებელია მათთვის ამ პირთა მიმართ სის-
 ხლის სამართლის საქმის განხილვისათვის.

მუხლი 37

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დაზმარების აღმოჩენის დროს
ხელშეკრულების მონაწილე მხარეების წარმომადგენელთა დასწრება
 ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლებს შეუძლიათ, ხელშეკრუ-
 ლების მონაწილე მეორე მხარის თანხმობით, დაესწრონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხა-
 რის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დაზმარების აღმოჩენის შესახებ შუამ-
 დგომლობის შესრულებას.

თავი IV

სხვა დებულებანი

მუხლი 38

დოკუმენტების ნამდვილობა

1. დოკუმენტები, რომლებიც შედგენილი ან დამოწმებულია ხელშეკრულების მონაწილე
 ერთი მხარის სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დაწესებულების მიერ, ნამდვილია, თუ ის
 ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის შესაბამისი კომპეტენტური დაწესებულე-
 ბამოწმებულია ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის შესაბამისი კომპეტენტური დაწესებულე-
 ბაბის ოფიციალური ბეჭდით. ასეთი სახით ისინი შეიძლება მიღებულ იქნან ხელშეკრულების მონა-
 ბის მიერ მხარის სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ლეგალიზაციის გა-
 წილების მიერ მხარის სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ლეგალიზაციის გა-
 რეშე.

2. დოკუმენტები, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე
 მიჩნეულია ოფიციალურ დოკუმენტებად, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორია-
 ზე სარგებლობენ ოფიციალური დოკუმენტების დამამტკიცებელი ძალით.

მუხლი 39

მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა დოკუმენტების გადაგზავნა

ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის კომ-
 პეტენტური დაწესებულებები დაპლომატიური გზით მიღებული თხოვნის საფუძველზე, უფასოდ
 კომპეტენტური დაწესებულებები დაპლომატიური გზით მიღებული თხოვნის საფუძველზე, უფასოდ
 კომპეტენტური დაწესებულებები დაპლომატიური გზით მიღებული თხოვნის საფუძველზე, უფასოდ

გისტრაციის მოწმობებს, განათლების მოწმობებს, მონაცემებს შრომითი სტაჟის შესახებ და სხვა ღოკუმენტებს, რომლებიც ესება ზელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ქონებრივ ინტერესებს.

მუხლი 40

დავების გადაწყვეტა

ზელშეკრულების მონაწილე მხარეები ამ ზელშეკრულების ახსნა-განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე წამოჭრილ დავებს წყვეტენ ამ ზელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული შესაბამის ცენტრალურ ორგანოებს შორის კონსულტაციების საშუალებით ანდა დიპლომატიური არჩებით.

მუხლი 41

უწყებრივი კავშირების დამყარება

ამ ზელშეკრულებაში მითითებულ ზელშეკრულების მონაწილე მხარეების ცენტრალურ იურიდიულ დაწესებულებებს, აღნიშნული ზელშეკრულების საფუძველზე და მისი განვითარების მიზნით, შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაამყარონ პირდაპირი კავშირები უწყებრივი შეთანხმების დადების გზით.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 42

ზელშეკრულების ძალაში შესვლა

წინამდებარე ზელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

მუხლი 43

ცვლილებები და დამატებები ზელშეკრულებაში

ზელშეკრულების მონაწილე მხარეები დიპლომატიური არჩებით გამართავენ კონსულტაციებს ამ ზელშეკრულების ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ვალდებული არიან შეასრულონ იურიდიული პროცედურები მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 44

ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტა

ხელშეკრულება უვადოა და მოქმედებას წყვეტს ხელშეკრულების მონაცილე ნებისმიერი მხარის მიერ დიპლომატიური არხებით მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 6 თვის შემდეგ.

შესრულდა ქ. თბილისი 17 სუჭურავის 1996 წ. ორ ეგზემპლიარად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა.

აღნიშნული ხელშეკრულების განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში ხელშეკრულების მონაცილე მხარეები ეყრდნობიან რუსულ ენაზე შესრულებულ ტექსტს.

საქართველოს სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის
სახელით